

ქართულ–ამერიკული უმაღლესი სკოლა

მისაღები გამოცდა

მათემატიკა

დონე I

სახელი, გვარი: _____

ქულა: _____

კლასი: _____

თარიღი: _____

1. წყლით სავსე ჭურჭელი იწონის 5 კგ–ს. როცა ჭურჭელში წყალი ნახევრამდეა ის იწონის 3,25 კგ. რამდენ ლიტრ წყალს იტევს ჭურჭელი?

ა) 4,5 ბ) 4 გ) 3,5 დ) 5 ე) 3

2. ჯოხის $\frac{1}{3}$ ნაწილი მიწაშია, ნახევარი წყალში, წყლის ზევით დარჩენილი ჯოხის სიგმა 1,5 მ. რა არის ჯოხის სიგრძე?

ა) 6 ბ) 7.5 გ) 10 დ) 9 ე) 8

3. თუ შუალამეს წვიმს, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ 72 სთ–ის შემდეგ მზიანი ამინდი იქნება?

ა) დიახ ბ) არა გ) პასუხი დ) იწვიმებს ე) ითოვებს
შეუძლებელია

4. როცა თქვენ წაიკითხეთ ნახევარი წიგნი და კიდევ 20 ფურცელი, წასაკითხი დაგრჩათ წიგნის $\frac{1}{3}$ ნაწილი. რამდენ ფურცლიანია წიგნი.

ა) 120 ბ) 130 გ) 150 დ) 140 ე) 160

5. დღის განმავლობაში წუთების ისარი რამდენჯერ დაფარავს საათის ისარს?

ა) 12 ბ) 13 გ) 11 დ) 10 ე) 9

6. მამა 3–ჯერ უფროსია ვაჟზე. ვაჟი კი 3–ჯერ უფროსია დაზე, რა ხნისაა მამა თუ მისი და გოგონას ასაკი ერთად 30–ის ტოლია.

ა) 33 ბ) 24 გ) 27 დ) 45 ე) 30

7. ორი რიცხვის ჯამი არის 330, თუ დიდ რიცხვს მარჯვნიდან მოვაცილებთ ნულს, რიცხვები გახდებიან ტოლები, რისი ტოლია დიდი რიცხვი.

ა) 320 ბ) 303 გ) 270 დ) 310 ე) 300

8. როცა მამა იყო 31 წლის , მისი ვაჟი იყო 8 წლის. ახლა მამა ორჯერ უფროსია ვაჟზე. რა ხნისაა ვაჟი?

- ა) 30 ბ) 28 გ) 26 დ) 23 ე) 24

9. სამელნე მელანთან ერთად ღირს 120 ლარი. სამელნე 100 ლარით მეტია ვიდრე მელანი. რა ღირს მელანი?

- ა) 10 ბ) 5 გ) 15 დ) 20 ე) 17

10. ავტობუსმა დაფარა ქალაქებს შორის მანძილის $\frac{3}{8}$ ნაწილი, გზის ნახევრამდე გასავლელი მას დარჩა 12 კმ. იპოვეთ ქალაქებს შორის მანძილი.

- ა) 110 ბ) 90 გ) 105 დ) 100 ე) 96

11. 18 ყუთში განაწილებულია სამი სხვადასხვა სახის ხილი. თითოეულ ყუთში არის მხოლოდ ერთი სახის ხილი. შეგვიძლია ვთქვათ თუ არა ,რომ 7ყუთში არის ერთი და იგივე ხილი?

- ა) 8 ბ) დიახ გ) არა დ) 6 ე) შეუძლებელია

12. 9 ვაგონიანი მატარებელი დამკვირვებელს ჩაუქროლებს 12 წთ–ში . რა არის მატარებლის სიჩქარე თუ ერთი ვაგონის სიგრძე 16 მ–ია (სიჩქარე მანძილის და დროის ფარდობის ტოლია).

- ა) 12 ბ) 10 გ) 11 დ) 13 ე) 14

13. მოგზაურობის პირველ დღეს მოტოციკლეტისტმა გაიარა გზის ნახევარი, მეორე დღეს გზის მესამედი, მესამე დღეს 40 კმ. რა მანძილი გაიარა მოტოციკლეტისტმა სამ დღეში?

- ა) 160 ბ) 180 გ) 240 დ) 120 ე) 145

14. თქვენ გადაიხადეთ წიგნში მისი ღირებულების ნახევარი და 55 ლარი. რა ღირს წიგნი?

- ა) 110 ბ) 55 გ) 50 დ) 100 ე) 120

15. ძალი გამოეკიდა კურდღელს, რომელიც მას უსწრებდა 150 მეტრით. კურდღელი ფარავს 500 მეტრს 1 წუთში. ძალი კი 1300 მეტრს 2 წუთში. რამდენ წუთში დაეწევა ძალი კურდღელს?

- ა) 5 ბ) 4 გ) 1 დ) 2 ე) 3

16. ქალი სვამს 1 კგ ყავას 21 დღეში. თუ მისი ქმარიც დალევს ყავას, მაშინ ისინი დალევენ 14 დღეში იმავე რაოდენობის ყავას. რამდენ ხანში დალევს 1კგ ყავას მარტო ქმარი.

- ა) 24 ბ) 18 გ) 36 დ) 42 ე) 30

17. რა უდიდესი რიცხვი შეგიძლია ჩაწერო, თუ გაქვთ 2 ორიანი, 3 სამიანი, 2 ხუთიანი, 2 ცხრიანი.

- ა) 993553322 ბ) 995533322 გ) 99593322 დ) 953953322 ე) 93553322

18. ბოთლი იტევს 12 ლიტრ წვენს და თქვენ უნდა გაავსოთ 10 ცალი ბოთლი, რომელთა მოცულობებია 1 ლ. და 2 ლ. რამდენი 1 ლ.-იანი და 2 ლ.-იანი ზომის ბოთლებია საჭირო?

- ა) 8 და 2 ბ) 9 და 1 გ) 7 და 3 დ) 6 და 4 ე) 5 და 5

19. ულლიანი სასწორის ერთ მხარეს დევს ვაშლი, მეორე მხარეს ვაშლის ნახევარი და 2 კგ-იანი გირი. რამდენს იწონის ვაშლი, თუ სასწორი გაწონასწორებულია?

- ა) 6 ბ) 5 გ) 3 დ) 2 ე) 4

20. ულლიან სასწორზე დიდი ვაშლი და 30 გრამი გირი აწონასწორებს პატარა ვაშლს და 40 გრამ გირს. რამდენით მეტია დიდი ვაშლი პატარა ვაშლზე?

- ა) 25 ბ) 20 გ) 15 დ) 5 ე) 10